ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ჩოხატაური წერეთლის ქ. №2 ☎ 577 44 60 40

N 46
17/06/2016

46-08-4-201606171408

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სააგიტაციო მასალის გასაკრავად, გამოსაფენად გამოყოფილი ადგილების ნუსხის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, საქართველოს ორგანული კანონის, საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 46-ე მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტების შესაბამისად

საკრებულო ადგენს:

1.დამტკიცდეს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სააგიტაციო მასალის გასაკრავად და გამოსაფენად გამოყოფილი ადგილების ნუსხა (დანართი თან ერთვის).

2. სააგიტაციო მასალა შეიძლება გამოიფინოს სხვა შენობა-ნაგებობებსა და ობიექტებზე მათი მესაკუთრეების ან მფლობელების თანხმობის შემთხვევაში.

3. სააგიტაციო მასალის განთავსება აიკრძალოს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ: საკულტო ნაგებობებზე, კულტურული მემკვიდრეობის შენობა-ნაგებობებზე, სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, პოლიციის შენობების ინტერიერებსა და ექსტერიერებში, აგრეთვე საგზაო ნიშნებზე.

4. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 25 მაისის N 57 განკარგულება - „საარჩევნო სუბიექტის მიერ, საარჩევნო პლაკატების გასაკრავად და გამოსაფენად ადგილების გამოყოფის შესახებ“.

5.დაევალოს, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატს სააგიტაციო მასალის განთავსებისათვის გამოყოფილი ადგილების თაობაზე ინფორმაცია გამოაქვეყნოს

ადგილობრივ ბეჭდვით ორგანოებში და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე.

6. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება 1 თვის ვადაში ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე: ჭავჭავაძის ქ. N4–ში.

7. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ზაალ მამალაძე

საკრებულოს თავმჯდომარე

ხელმძღვანელობა